

მინისტრის ხელვა 2010

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
2010

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი..... 3

თავდაცვის შესაქმნელობები..... 5

თავდაცვის სისტემის მართვა..... 8

განათლების სისტემა და აღამიანური რესურსების მართვა.....11

ნატო-ში ინტეგრაცია და სავრთაშორისო თანამშრომლობა 14

დასკვნა 16

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი საქართველოს თავდაცვის დაგეგმვის ციკლის შემადგენელი ნაწილია. „მინისტრის ხელვა 2010“ განსაზღვრავს საქართველოს შეიარაღებული ძალების (სშძ) განვითარების კონკრეტულ პრიორიტეტებს, რათა მან მაქსიმალურად ეფექტურად უპასუხოს ქვეყნის უსაფრთხოების წინაშე მდგარ გამოწვევებს.

2008 წლის რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დღის წესრიგში დადგა ომით გამოწვეული გადაუდებელი ღონისძიებების გატარებისა და გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის აუცილებლობა, რაც აისახა „მინისტრის ხელვა 2009“ დოკუმენტში.

აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა თავდაცვის დაგეგმვის მოქმედი სტრატეგიული დოკუმენტების (ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, ეროვნული სამხედრო სტრატეგია, თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი) გადახედვა. აღნიშნული პროცესის დასრულებამდე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა „მინისტრის ხელვის“ დოკუმენტმა, რომელიც მოკლევადიანი პერიოდისთვის განსაზღვრავს თავდაცვის სისტემის განვითარების კონკრეტულ მიმართულებებს.

თავდაცვის სამინისტრო აცნობიერებს, რომ გრანსფორმაციის პროცესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია რეფორმებისადმი სისტემური და დაბალანსებული მიდგომა, რაც გულისხმობს თავდაცვის სისტემის შემადგენელი კომპონენტების უწყვეტ და გეგმაზომიერ განვითარებას.

თავდაცვის სამინისტროს ძალისხმევა მიმართულია მშვიდობის განმტკიცების, შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისა და ქვეყნის ნაგო-ში ინტეგრაციის ხელშეწყობისაკენ. სწორედ აღნიშნული პრიორიტეტების მიმდინარე წლის დაგეგმვის პროცესში ასახვა წარმოადგენს „მინისტრის ხელვა 2010-ის“ მთავარ ამოცანას.

დოკუმენტის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა გასული წლების განმავლობაში „მიღებული გამოცდილება“ (Lessons Learned), რომლის ანალიზის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს გრანსფორმაციის პროცესის წარმატებით განხორციელებას.

„მინისტრის ხელვა 2010“ მიზნად ისახავს თავდაცვის სისტემის განვითარებას ოთხი ფუნდამენტური მიმართულებით (თავდაცვის შესაძლებლობები, თავდაცვის სისტემის მართვა, განათლების სისტემა და ადამიანური რესურსების მართვა, ნაგო-ში ინტეგრაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა), რომელთა ფარგლებშიც კონკრეტული პრიორიტეტების განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს შეიარაღებული ძალების წინაშე დასმული ამოცანების შესრულებას.

თავდაცვის შესაძლებლობები

თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება აუცილებელი პირობაა საქართველოს მშვიდობიანი განვითარებისთვის. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს უნდა შესწევდეთ უნარი შეასრულონ საქართველოს კონსტიტუციით და „ეროვნული სამხედრო სტრატეგიით“ მათზე დაკისრებული მისიები და ამოცანები. სწორედ თავდაცვისუნარიანობის ამაღლება წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის უპირველეს ამოცანას, რომელიც ხელს შეუწყობს გარე საფრთხეებისაგან ქვეყნის ეფექტურ დაცვას და შესაბამისად ქვეყნის მშვიდობიან განვითარებას.

არსებული მრავალი საფრთხისა და გამოწვევის პირობებში, ასევე „მიღებული გამოცდილების“ გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვისათვის აუცილებელია სწორი აქცენტების გაკეთება კრიტიკულად მნიშვნელოვანი შესაძლებლობებისა და მიმართულებების განვითარებაზე.

ამ თვალსაზრისით თავდაცვის სამინისტრო მნიშვნელოვნად მიიჩნევს შემდეგ პრიორიტეტებს:

- **თავდაცვის დაგეგმვა** – თავდაცვის სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის ფუნქციონირებადი სისტემის ჩამოყალიბება, თავდაცვის დაგეგმვის პროცესის შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია, ამ პროცესის უზრუნველსაყოფად პირადი შემადგენლობის მომზადების ხარისხის ამაღლება და არსებული „ეროვნული თავდაცვის გეგმის“ მაქსიმალური სრულყოფა.
- **მართვა და კონტროლი** – მართვისა და კონტროლის სისტემის განვითარების გაგრძელება, შესაბამისი პროცედურების დახვეწა, პერსონალის მომზადება და ტექნიკური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესება.
- **დაზვერვა** – სამხედრო დაზვერვის სისტემის ეტაპობრივი განვითარება, მათ შორის სამხედრო-პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოსტიკის შესაძლებლობების გამომუშავება, სტრატეგიული და ოპერატიული დონის სადაზვერვო ინფორმაციის დროული მოპოვება, ჯეროვანი ანალიზი და გავრცელება, ადამიანური რესურსების განვითარება და თანამედროვე ტექნიკურ შესაძლებლობათა ეფექტური დანერგვა-გამოყენება.

- **წვრთნები** – სშმ-ის საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისთვის კონკრეტული სცენარებისა და ამოცანების მიხედვით სათანადო ხარისხის ინდივიდუალური, ჯგუფური და გაერთიანებული წვრთნების ჩატარება და მათი მუდმივი დახვეწის უზრუნველყოფა.
- **სიმულაციური შესაძლებლობები** – წვრთნების სიმულაციური სისტემების განვითარება და დანერგვა, აღნიშნულ პროცესში ჩართული პირადი შემაღლენლობის მომზადება.
- **საჰაერო თავდაცვა** – საჰაერო თავდაცვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით საჰაერო თავდაცვისა და კონტროლის შესაძლებლობების განვითარება, ინფრასტრუქტურის მოდერნიზების, სტრუქტურული ოპტიმიზაციის, დოქტრინების, წვრთნებისა და აღჭურვა-შეიარაღების მიმართულებებით.
- **ავიაცია** – სშმ-ის სტრუქტურული ოპტიმიზაციის, ურთიერთქმედების გაძლიერების, მართვა და კონტროლის გაუმჯობესებისა და ფინანსური რესურსების დამოგვის მიზნით, სამხედრო-საჰაერო ძალებში არსებული ავიაციის გაერთიანება სახმელეთო ძალების შემაღლენლობაში; ოპტიმალური სტრუქტურის შემუშავება და არსებული შესაძლებლობების ინტეგრაცია.
- **ტანკსაწინააღმდეგო შესაძლებლობები** – შეიარაღებული ძალების ტანკსაწინააღმდეგო შესაძლებლობების შემდგომი განვითარება და ამ მიმართულებით წვრთნების ინტენსიფიკაცია.
- **სპეციალური ოპერაციები** – სპეციალური ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება, სპეციალური ოპერაციების ამოცანების დოქტრინალური სრულყოფა და სპეციალური შეიარაღება-აღჭურვილობის განვითარება.
- **ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა** – შეიარაღებული ძალებისათვის თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურის აღდგენა-მშენებლობა და მაგერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ლოგისტიკური სისტემის ოპტიმიზაცია, მისი მოქნილობის, ეფექტიანობისა და ნაგო-სთან თავსებადობის ამაღლება; სშმ-ში „მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის“ შესაძლებლობების განვითარება და კოდიფიკაციის სისტემის დანერგვა.
- **შეიარაღებისა და აღჭურვილობის მოდერნიზაცია** – არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით, სშმ-ის აღჭურვილობისა და შეიარაღების მოდერნიზაციის გაგრძელება და არსებული ტექნიკის სასიცოხლო ციკლის შესწავლის სრულყოფა.
- **კავშირგაბმულობა, ინფორმაციული სისტემები და ინფორმაციის უსაფრთხოება** – შეიარაღებულ ძალებში კავშირგაბმულობის და ინფორმაციული სისტემების გაუმჯობესება, ინფორმაციის გავრცელებისათვის ეფექტური კავშირგაბმულობის განვითარება

- სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე, კიბერ-შეგვეებისგან დაცვის ტექნოლოგიების დანერგვა.
- **სამხედრო-საინჟინრო შესაძლებლობები** – სამხედრო-საინჟინრო შესაძლებლობების შემდგომი განვითარება ოპერაციების დროს საკუთარი ძალების მაღალი მობილურობის ხელშეწყობის და მოწინააღმდეგის ძალების შეფერხების მიზნით.
 - **რეზერვი** – რეზერვის ახალი კონცეფციის შესაბამისად, ხარისხზე ორიენტირებული და ტერიტორიული თავდაცვის პრინციპზე მორგებული რეზერვის სისტემისა და ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბება როგორც საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად, ისე კრიზისების დროს სამოქალაქო ხელისუფლებისთვის დახმარების აღმოსაჩენად.
 - **საზღვაო უსაფრთხოება** – მოწინააღმდეგის მიერ ბლვიდან სამხედრო აგრესიის განხორციელების შემთხვევაში სათანადო რეაგირების უზრუნველსაყოფად, სხვა უწყებებთან ერთად, მონაწილეობის მიღება საზღვაო უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებაში, სამოქმედო გეგმების შედგენასა და მათი იმპლემენტაციისათვის აუცილებელი შესაძლებლობების განვითარებაში.
 - **კრიზისების მართვა** – კრიზისის დროს ეფექტური მოქმედებისათვის შეიარაღებულ ძალებში დაგეგმვის, სიგუაციის შეფასების და ძალთა მართვის შესაძლებლობის გაძლიერება, ამ მიზნისთვის საჭირო მაგერიალურ-ტექნიკური საშუალებების განვითარება და პერსონალის მომზადების ხარისხის გაუმჯობესება სწავლებების ჩატარებით.
 - **ფსიქოლოგიური და საინფორმაციო ოპერაციები** – სამხედრო ოპერაციებში წარმატებული მოქმედებისათვის შეიარაღებულ ძალებში ფსიქოლოგიური ოპერაციებისა (PSYOP) და საინფორმაციო ოპერაციების (IO) შესაძლებლობის განვითარება.
 - **რადიო-ელექტრონული ბრძოლა** – რადიო-ელექტრონული ბრძოლის საშუალებების განვითარება, პერსონალის მომზადება საბრძოლო ოპერაციებში მოწინააღმდეგის კომუნიკაციების ეფექტური ჩახშობის მიზნით.
 - **სამხედრო-სამეცნიერო შესაძლებლობები** – სამხედრო-სამეცნიერო შესაძლებლობების შემდგომი განვითარება სამხედრო-სამეცნიერო კვლევების წახალისების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით შესაბამისი შესაძლებლობების განვითარებისა და საქართველოში სამხედრო წარმოების ხელშეწყობის გზით.

თავდაცვის სისტემის მართვა

საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამედროვე გამოწვევებისა და ამოცანების შესაბამის ძალად გარდაქმნის ანუ თავდაცვის გრანსფორმაციის პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება და მისი სრულყოფა. თავდაცვის სისტემის მდგრადი განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში ე.წ. „ინსტიტუციური მეხსიერების“ შენარჩუნება. აუცილებელია ინსტიტუციური რეფორმების გატარება თავდაცვის მართვის სფეროში, რაც უზრუნველყოფს სშპ-ის განვითარებას და ხელს შეუწყობს ნაგო-სთან თავსებადობას.

ამ მიმართულებებით, მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია:

- **მიღებული გამოცდილების ანალიზის სისტემა (Lessons Learned System)** – თავდაცვის გრანსფორმაციის პროცესის მხარდაჭერისა და თავდაცვის სისტემის მართვაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, მიღებული გამოცდილების ანალიზის სისტემის შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია; მიღებული გამოცდილების ასახვა სშპ-ის განვითარების შემდგომ გეგმებში, დოქტრინებში და შესაბამისი შესაძლებლობების განვითარებაში.
- **თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა (SDR)** – 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი რეალიების გათვალისწინებით, „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის“ პროცესის დასრულება, საშუალოვადიანი პერიოდისათვის შეიარაღებული ძალების განვითარების დეტალური გეგმების შემუშავების მიზნით.
- **უწყებათშორისი კოორდინაცია** – სხვა სახელმწიფო უწყებებთან უფრო ეფექტური და კოორდინირებული ურთიერთობების უზრუნველყოფა; განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება სხვა ძალოვან უწყებებთან თანამშრომლობაზე ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეების პრევენციისა და მათზე შესაბამისი პასუხის უზრუნველყოფის მიზნით; „ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის“ (NSR) მიმდინარე პროცესის გამოყენება სხვა უწყებებსა და თავდაცვის სამინისტროს შორის სხვადასხვა მიმართულებით კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით.
- **სტრუქტურის ოპტიმიზაცია** – მიღებული გამოცდილების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, თავდაცვის მართვის სისტემის შემდგომი სრულყოფის, მისი ეფექტურობის ამაღლების მიზნით, სტრუქტურის ოპტიმიზაციისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

- **დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემა (PPBS)** – დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია; PPBS-ის მხარდამჭერი დოკუმენტების შემუშავება, პერსონალის წვრთნის გაგრძელება და PPBS-ის იმპლემენტაციის პროცესში თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებს შორის ურთიერთქმედების ხარისხის ამაღლება.
- **შესყიდვების სისტემა** – აუცილებელი სამხედრო მოთხოვნების შესაბამისად, მაგერიალური რესურსებისა და მომსახურების შესყიდვის პროცესის დახვეწის მიზნით, არსებული შესყიდვების სისტემის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს სტრუქტურულ ოპტიმიზაციას, ხარჯთაღრიცხვისა და სასიცოცხლო ციკლის გაანგარიშების მეთოდოლოგიის განვითარებას, შესყიდვების სისტემის მოქცევას გრძელვადიანი დაგეგმვის სისტემაში და შესყიდვების სტრატეგიის შემუშავებას.
- **დოქტრინები და პროცედურები** – შეიარაღებულ ძალებში დოქტრინების ერთიანი ბაზის შექმნაზე ინტენსიური მუშაობის გაგრძელება; სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური დოქტრინების განვითარება, რომელიც უნდა მოიცავდეს სშპ-ის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციონირებისა და ოპერაციის წარმოების ყველა კომპონენტს; „მიღებული გამოცდილებების“ (Lessons Learned) დოქტრინებში ასახვა. ამასთანავე, სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე სტანდარტული სამოქმედო პროცედურების (SOP) დანერგვა.
- **შეფასებისა და მოხსენების სისტემა** – შეიარაღებულ ძალებში შეფასებისა და მოხსენების სისტემის შემდგომი სრულყოფა, თითოეულ ქვედანაყოფსა თუ სტრუქტურულ ერთეულში არსებული მდგომარეობის, მათ მიერ პროგრამებისა და გეგმების შესრულების შესახებ ინფორმაციის გადაცემისა და შეფასების პროცესის გაუმჯობესება.
- **სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობა** – სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური ურთიერთობების გაგრძელება გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლებისა და თავდაცვის მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით; სამოქალაქო საზოგადოების წევრებთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა; საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის აქტიურად გატარება შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე პროცესების საზოგადოებისათვის უკეთ გაცნობისა და თავდაცვის სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად; სამოქალაქო სექტორთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, თანამშრომლობის გაგრძელება და ერთობლივი პროექტების განხორციელება

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან; თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე სამოქალაქო საბჭოსთან შეიარაღებული ძალების განვითარების მნიშვნელოვან საკითხებზე მიმდინარე დიალოგის გაგრძელება.

განათლების სისტემა და ადამიანური რესურსების მართვა

თავდაცვის სისტემის განვითარებისა და წარმატებული ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განმაპირობებელ ფაქტორს ადამიანური რესურსების მართვის და განათლების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება წარმოადგენს, რაც შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისა და გრანსფორმაციის აუცილებელი წინაპირობაა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში თანამედროვე პერსონალის მართვისა და განათლების სისტემის განვითარება შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

- **სამხედრო განათლების სისტემა** – თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში განათლების სისტემის განვითარების ეფექტური პოლიტიკის განსაზღვრისა და ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებისათვის სათანადო მექანიზმების განვითარება, რომლის გამოყენებით სისტემატური ანალიზის საფუძველზე მიღწეულ უნდა იქნას სამხედრო/სამოქალაქო პერსონალის განათლების სისტემის ახალ გამოწვევებთან და თანამედროვე მოთხოვნებთან თანხვედრის მაღალი ხარისხი; სამხედრო-საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირება თავდაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ყველა შესაბამისი დაწესებულების შესაძლებლობათა მაქსიმალური გაუმჯობესების, მაგერიალურ-ტექნიკური ბაზის დახვეწისა და სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით; თავდაცვის ეროვნული აკადემიისა და სერჟანტთა მომზადების სკოლის ინფრასტრუქტურის შესაძლებლობების გაუმჯობესება ქ. გორის სამხედრო ბაზაზე; თავდაცვის ეროვნულ აკადემიის რეფორმირება და მასში ოთხწლიანი კურსის დანერგვა (ბაკალავრიატი); სერჟანტთა მომზადების სკოლის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო კურსების დანერგვა; სამეთაურო საშვაბო კურსის ჩამოყალიბება და განვითარება; ეროვნული სასწავლო ცენტრი „კრწანისის“ შემდგომი მოდერნიზაცია; საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში სამთო კურსების შემდგომი განვითარება, სკოლის PfP ცენტრად გარდაქმნა და საერთაშორისო სწავლებების დაგეგმვა-ჩატარება; კადეტთა მომზადების სისტემის ჩამოყალიბება; სკოლებში სამხედრო სწავლებების ჩატარების უზრუნველყოფა; მოსამზადებელი-სასწავლო ცენტრების განვითარება საქართველოს

შეიარაღებული ძალების გვარეობების სპეციფიკის გათვალისწინებით; საწვრთნელი პოლიგონების შემდგომი მოწყობა და განვითარება; სიმულაციური სისტემების შემდგომი განვითარება. სამხედრო/სამოქალაქო პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამების გაგრძელება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ და ამ მიზნით ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში მოქმედი პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) მაქსიმალური გამოყენება; უცხო ენების სწავლების სისტემის განვითარება და სამხედრო პერსონალისათვის პრიორიტეტულად მიჩნეული ინგლისური ენის სათანადო დონეზე შესწავლის მექანიზმის გაუმჯობესება.

- **სამხედრო პერსონალის მართვის სისტემა** – სამხედრო პერსონალის რეკრუტირების, გადანაწილება-დანაშენის, შერჩევის, შეფასების, პროფესიული განვითარების, დაწინაურების, შენარჩუნების, ინფორმაციული მართვის, სოციალური უზრუნველყოფის, დათხოვნისა და გარდამავალი პერიოდის მართვის მექანიზმების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესის გაგრძელება; შეიარაღებულ ძალებში საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავების პროცესის დასრულება და პირადი შემადგენლობის აგესტაციის სისტემის სრულყოფა. მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების აუცილებელ წინაპირობას თანამდებობრივი პრინციპით ანაზღაურებიდან წოდებრივი პრინციპით ანაზღაურების სისტემაზე გადასვლის დაგეგმილი პროცესის თანმიმდევრული და ეგაპობრივი განხორციელება წარმოადგენს.
- **სამოქალაქო პერსონალის მართვის სისტემა** – თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, შეფასების, პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის მექანიზმების სრულყოფა. მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია კომპეტენციების მართვის სისტემის ფარგლებში ორგანიზაციული აღწერების, თანამდებობების სამუშაოს აღწერებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების ანალიზი და განახლება, რის საფუძველზეც განისაზღვრება თანამდებობაზე დანიშვნა-გადანიშნის, ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმების შემუშავების და დაწინაურების მოთხოვნები და კრიტერიუმები. ამასთანავე, პრიორიტეტულია სოციალური უზრუნველყოფის მექანიზმების პერიოდული გადახედვა ეფექტურობის ბრძის მიზნით.
- **საზღვარგარეთ სწავლების ორგანიზება** – განათლების პრიორიტეტებზე დაყრდნობით საზღვარგარეთ სასწავლო პროგრამების, კურსების, სემინარებისა თუ კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვა ღონისძიებების დროული დაგეგმვა პარტნიორ

ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან როგორც ორმხრივ, აგრეთვე მრავალმხრივ ფორმატში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ სასწავლებლად წარგზავნის მიზნით კანდიდატების შერჩევის მექანიზმების დახვეწა და პროცედურულად უფრო ეფექტურად დარეგულირება.

ნატო-ში ინტეგრაცია და საერთაშორისო თანამშრომლობა

ნატო-ში ინტეგრაცია ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ქვეყნის სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტურ ფუნქციონირებას. ალიანსთან ინტეგრაციის პროცესში თავდაცვის სამინისტროს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს შეიარაღებული ძალების ნატო-სთან თავსებადობის უზრუნველყოფა. ამასთანავე, თავდაცვის სამინისტროსთვის კვლავაც პრიორიტეტულია ნატო-სთან თანამშრომლობის მიმდინარე ფორმატების (ნატო-საქართველოს კომისია და „ყოველწლიური ეროვნული პროგრამა“ – ANP და „დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი“ - PARP) ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება, ცალკეულ სახელმწიფოებთან თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება და საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში აქტიური მონაწილეობა.

ნატო-სთან ურთიერთობის კუთხით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარი პრიორიტეტებია:

- **ნატო-საქართველოს კომისია** – ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, ნატო-საქართველოს კომისიის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და კომისიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება.
- **„ყოველწლიური ეროვნული პროგრამა“** – „ყოველწლიური ეროვნული პროგრამის“ (ANP) თავდაცვის ნაწილის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება, თავდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების პროცესის მხარდასაჭერად და თავდაცვის სისტემის ნატო-ს წევრი-ქვეყნების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
- **„დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი“ (PARP)** – საქართველოს მიერ ნატო-ს წინაშე PARP-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებებისა და „პარტნიორობის მიზნების“ შესრულების თვალსაზრისით მუშაობის გაგრძელება.
- **ორმხრივი თანამშრომლობა** – საქართველოს თავდაცვის სისტემის გრანსფორმაციისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით აქტიური და მჭიდრო ურთიერთობის გაგრძელება ნატო-ს წევრ და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, მათთან არსებული თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება და ახალ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის დაწყება და მისი

მაქსიმალური სინქრონიზაცია შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმირების პროცესის მოთხოვნებთან; ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია საქართველოსა და აშშ-ს შორის გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის ფარგლებში.

- **საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა** – „ავღანეთში საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების“ (ISAF) ოპერაციაში ნატო-ს ძალებთან ერთად მონაწილეობის გაგრძელება, შეერთებული შტატების, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების სამხედრო კონტიგენტებთან ერთობლივი მოქმედებით საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ჩვენი ქვეყნის წვლილის შეგანა საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

დასკვნა

„მინისტრის ხელვა 2010“ განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომელიც ამავედროულად ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტი იქნება თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელებისათვის.

ვიდრე 2010 წლის ბოლოსთვის დასრულდება თავდაცვის სისტემის მიმდინარე ყოველმხრივი ანალიზის პროცესი და გამოქვეყნდება „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის“ შედეგებზე დაფუძნებული კონკრეტული რეკომენდაციები, თავდაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები ძირითადად ორიენტირებული იქნება წინამდებარე დოკუმენტში ასახული, ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობების, თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესების, განათლებისა და ადამიანური რესურსების ეფექტური მართვისა და ნატო-ში ინტეგრაციის უპირველესი ამოცანებით. ყველა წამოწყებული ინიციატივა და პროექტი იქნება აღნიშნული მიმართულებით განსაზღვრულ პრიორიტეტებთან შესაბამისობაში.

თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები შეიმუშავენ წინამდებარე დოკუმენტის იმპლემენტაციისათვის საჭირო გეგმებს, რომელთა განხორციელების პროგრესი რეგულარულად მოხსენდება თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პრიორიტეტების განხორციელებისას უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს ხარისხობრივი კრიტერიუმების გათვალისწინება, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შეზღუდული რესურსების პირობებში. თავდაცვის გრანსფორმაციის წარმატებულობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი იქნება ის, თუ რამდენად შედეგიანია შეიარაღებული ძალების განვითარების პროცესი გემოსხენებული ოთხი ფუნდამენტური მიმართულებით.

მიღებული გამოცდილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, წინამდებარე „მინისტრის ხელვის“ იმპლემენტაციის უმთავრეს პრინციპს თავდაცვის სისტემის ინსტიტუციური განვითარება წარმოადგენს.

თავდაცვის სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს „მინისტრის ხელვით“ გაწერილი მითითებების იმპლემენტაციას და

მიესალმება ფართო საზოგადოების ჩართულობას შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმების წარმატებით განხორციელების საქმეში.